

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N171 საცხოვრებელი სახლის  
N5 ბინაზე, მოქალაქე მალვინა ჭელიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N171 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მალვინა ჭელიძის განცხადება /2013 წლის 24.06 Nჭ-6677/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N171 საცხოვრებელი სახლის N5 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N171 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მალვინა ჭელიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N171 საცხოვრებელი სახლის N5 ბინაზე /საერთო ფართობი 89,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,57 კვ.მ, დამხმარე ფართობი 44,83 კვ.მ./ მოქალაქე მალვინა ჭელიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი